# გაუმარჯოს დიდ ოქტომბერს, რომელმაც დაიწყო მსოფლიო ისტორიის ახალი ეპოქა — მსოფლიოს რევოლუციური განახლების, კაპიტალიზმიდან სოციალიზმზე გადასვლის ეპოქა!

**გუშინ მთელმა საბჭოთა ხალხმა ზეიმით აღნიშნა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავი**


პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ლელო

№ 223 (5253)

8 ნოემბერი, პარასკევი. 1974 წ.

ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


# ლენინური კურსით — ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ

## თბილისის გარნიზონის ჯარების პარადი და საქართველოს დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია

საბჭოთა საქართველოს მშრომელები ამაღლებული, საზეიმო განწყობილებით, სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა შესრულებისთვის ბრძოლაში მოპოვებული ახალ-ახალი წარმატებებით შეხვდნენ დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 57-ე წლისთავს. ასეთ ვითარებაში ახალი ძალით ჟღერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მოწოდება:

— საბჭოთა კავშირის მშრომელებო, იბრძოლეთ 1974 წლის გეგმებისა და აღებულ სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულებისთვის, ფართოდ გაშალეთ საყოველთაო-სახალხო სოციალისტური შეჯიბრება მეცხრე ხუთწლედის წარმატებით დასამთავრებლად!

საქართველომ სასიხარულო წარმატებები მოიპოვა: საოქტომბრო ზეიმისთვის რესპუბლიკის მრეწველობამ ვადამდე შეასრულა 10 თვის გეგმა. დამატებით რეალიზებულია 130 მილიონზე მეტი მანეთის პროდუქცია. დიდ წარმატებებს მივაღწიეთ სოფლის მეურნეობაშიც. სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანმა ლ. ბრეჟნევმა გულთბილად მიულოცა საქართველოს მშრომელებს ხარისხოვანი ჩაის ფოთლის კრეფისა და სახელმწიფოსთვის მიყიდვის სოციალისტურ ვალდებულებათა ვადამდე შესრულება.

საერთო პატრიოტული აღმავლობა, რომელმაც მთელი რესპუბლიკა მოიცვა, დამაჯერებლად ადასტურებს, რომ ხალხი ერთსულოვნად უჭერს მხარს პარტიის ლენინურ საშინაო და საგარეო პოლიტიკას.

მხურვალედ იწონებენ და მიესალმებიან რა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს, პირადად სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის ლ. ბრეჟნევის დაუღალავ და ნაყოფიერ საქმიანობას, საქართველოს მშრომელები კვლავ და კვლავ გამოთქვამენ მისწრაფებას, რომ მთელი ძალა მოახმარონ სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებათა ხორცშესხმას.

... თბილისის ქუჩები მოზეიმე ხალხით არის სავსე. ფრიალებენ ალისფერი დროშები, ქუჩები ჩაფლულია ლამაზად გაფორმებულ ტრანსპარანტებში, ლოზუნგებში, ყვავილებში. განსაკუთრებით ლამაზად მოურთავთ რუსთველის პროსპექტი. გამოკრულია მარქსის, ენგელსის, ლენინის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრთა სურათები.

საქართველოს სსრ მთავრობის სასახლის წინ მოწყობილ ტრიბუნებზე არიან საპატიო სტუმრები — შრომის გმირები, ფაბრიკა-ქარხნების, სოფლის მეურნეობის მოწინავე წარმომადგენლები, მეცნიერებისა და კულტურის ცნობილი მოღვაწენი, ხელმძღვანელი პარტიული და საბჭოთა მუშაკები. აქვე არიან რევოლუციური მოძრაობის, სამოქალაქო და დიდი სამამულო ომების ვეტერანები...

10 საათია. ცენტრალურ ტრიბუნაზე არიან პ. გილაშვილი, გ. ჯავახიშვილი, გ. ძოწენიძე, ა. ინაური, შ. კიკნაძე, ზ. პატარიძე, გ. სირაძე, ა. ჩურკინი, ე. შევარდნაძე, შ. ყარყარაშვილი, ო. ჩერქეზია, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ქ. შარტავა და სხვ.

... იწყება სამხედრო პარადი. პროსპექტზე მოაბიჯებენ ჩვენი დიდი სამშობლოს მამაცი შვილები, საბჭოთა ხალხის მშვიდობის ერთგული დარაჯები. მოდის საბრძოლო ტექნიკა.

... მიწყდა სამხედრო მარშის ხმა. რუსთველის პროსპექტზე ერთ წუთს სიჩუმე გამეფდა, მაგრამ მალე გაისმა კომპოზიტორ რ. ლაღიძის მელოდია — „მოაბიჯებს ოქტომბერი" და დაიწყო თბილისის მშრომელთა წარმომადგენლების დემონსტრაცია.

ოქტომბრის დღესასწაულის წინ საბჭოთა საქართველოს დედაქალაქი, რომლის ისტორიაც რევოლუციური, საბრძოლო და შრომითი დიდებით არის დამშვენებული, მილიონიანი მოსახლეობის ქალაქი გახდა. ახლა თბილისი მცხოვრებთა რიცხვით მე-12 ადგილზეა საბჭოთა კავშირის ქალაქებში.

პროსპექტზე მოაბიჯებს მომავალი თაობა — მოდიან ბავშვები. აი, მათ ტრიბუნასთან მიირბინეს, ყვავილები მიართვეს პარტიისა და რესპუბლიკის მთავრობის ხელმძღვანელებს, ქალაქის მოწინავე ადამიანებს.

წლევანდელი დემონსტრაცია განსაკუთრებულია. იგი ტარდება დევიზით — „ვაქციოთ თბილისი სანიმუშო კომუნისტური კულტურის, კომუნისტური შრომისა და ყოფა-ცხოვრების ქალაქად".

ტრიბუნები მხურვალედ მიესალმებიან ხუთწლედის გმირებს, რომლებიც ხუთწლედის მოწინავეთა საპატიო კოლონაში შედიან. თბილისელებთან ერთად ამ კოლონაში არიან რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქისა და რაიონის წარ-

(დასასრული მე-2 გვ.).





სურათებზე: ფიზკულტურელთა ვარჯიში ტრიბუნის წინ; საქართველოს სახელმოხვეჭილ სპორტსმენთა ჯგუფი.

მ. ზარგარიანის ფოტოები.

## დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება

### სპარტაკიადის დევიზი: „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის"

სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფართო პროპაგანდისა და პოპულარიზაციის მიზნით სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი, არმიის, ავიაციისა და ფლოტის ხელშემწყობი ნებაყოფლობითი საზოგადოების ცენტრალური კომიტეტი და სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირი აწყობენ კონკურსს პრესაში, რადიოში და ტელევიზიაში სპარტაკიადის უკეთ გაშუქების მიზნით.

როგორც ცნობილია, სსრ კავშირის ხალხთა VI საზაფხულო სპარტაკიადა, რომელიც ეძღვნება დიდ სამამულო ომში საბჭოთა ხალხის გამარჯვების 30 წლისთავს და ტარდება დევიზით „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის", მიზნად ისახავს მასობრივი ფიზკულტურული მოძრაობის შემდგომ განვითარებას, საბჭოთა სპორტსმენების ოსტატობის ზრდას, მოსახლეობის სამხედრო-პატრიოტულ აღზრდას. ამიტომაც ეს დიდი სპორტული ფორუმი ამავე დროს სსრ კავშირის ფიზკულტურული მიღწევების გენერალურ დათვალიერებას წარმოადგენს და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრების ყურადღების ცენტრშია მოქცეული.

(დასასრული მე-4 გვ.).

# გაუმარჯოს მარქსიზმ-ლენინიზმს — მარად ცოცხალ რევოლუციურ ინტერნაციონალურ მოძღვრებას, იმპერიალიზმის წინააღმდეგ, სოციალიზმისა და კომუნიზმის გამარჯვებისთვის ყველა ქვეყნის მშრომელთა ბრძოლის დროშას!



სურათებზე: მოდიან ფიზკულტურელთა კოლონის მედროშენი; პირამიდა მოტოციკლზე.

შ. ზარგარიანის ფოტოები.

# ლენინური კურსით — ახალ-ახალი გამარჯვებებისკენ

დასასრული

მომადგენლები — სოციალისტურ შეჯიბრებებში გამარჯვებულნი, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ოთხგზის ორდენოსანი საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის სულ სხვადასხვა დარგის ოსტატები.

ტრადიციისამებრ, მშრომელთა დემონსტრაცია გახსნა რაიონმა, რომელიც დიდი ლენინის სახელს ატარებს, რომელსაც არაერთი სახელოვანი ფურცელი ჩაუწერია ქალაქის მშრომელთა სახელოვანი საქმეების მატიანეში.

ლენინის რაიონის წარმომადგენლებს ცვლიან პირველი მაისის, ოქტომბრის, კიროვის, კალინინის, 26 კომისრის, საბურთალოს და ორჯონიკიძის რაიონების მშრომელები.

საზეიმო მსვლელობას ამთავრებს ქალაქის სპორტსმენთა და ფიზკულტურელთა კოლონა, რომელშიც 2 ათასამდე ადამიანი შედის. ტრიბუნები მიესალმებიან ჩვენს სახელოვან საბჭოთა ახალგაზრდობას, სპორტსმენებსა და ფიზკულტურელებს.

რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციების საუკეთესო წარმომადგენელთა გამოსვლა დემონსტრანტების კოლონებში სსრ კავშირის ხალხთა მომავალ VI სპარტაკიადას ეძღვნება.

საბჭოთა საქართველოს მშრომელთა წარმომადგენლების საზეიმო დემონსტრაცია, მიძღვნილი დიდი ოქტომბრის 57-ე წლისთავისადმი, ორ საათზე მეტხანს გაგრძელდა. ზეიმში მონაწილეობდა 40 ათასზე მეტი ადამიანი. დემონსტრაციამ კიდევ ერთხელ ნათლად დაადასტურა, რომ თბილისის მშრომელები, მთელი საქართველოს ხალხი, მზად არიან თავიანთი ძალა, ცოდნა და ენერგია კომუნისტური მშენებლობის დიად საქმეს მოახმარონ.



# ორი მოგება 27 წამში

ჩატარდა „განთიადის“ საქალაქო საბჭოს პირველობა ქართულ ჭიდაობაში. წარმატებით იასპარეზა სპორტკლუბ „ფოლადის“ წარმომადგენელმა ზ. ჯაბიევმა, რომელმაც ორი შეხვედრის მოგებას სულ რაღაც 27 წამი მოანდომა.

კარგი შთაბეჭდილება დატოვა ქიმკომბინატის წარმომადგენელმა ტ. გოგინაშვილმაც. მან ხუთი ბრძოლიდან ოთხი წმინდად მოიგო.

დანარჩენ წონით კატეგორიებში ჩემპიონები გახდნენ: ი. გოგოლაძე, შ. პეტრიაშვილი, ა. საბაშვილი (ყველა — ქიმკომბინატი), შ. მაისურაძე, ჯ. ჩიხლაძე (ორივე — № 1 ხე-ტყის დამმუშავებელი საწარმო).

რ. ბაზრიშვილი.

(ჩვენი კორ.),

რუსთავი.

## „ლელოს“ წაკითხვის-კვალდაკვალ

### „გამარჯვებამ ვერ უშველა“

ამ სათაურით ჩვენი გაზეთის 22 ოქტომბრის ნომერში დაბეჭდილ წერილში, რომელიც რეგბისტთა საკავშირო ჩემპიონატის მონაწილე თბილისისა და მოსკოვის „ლოკომოტივის“ კოლექტივების მატჩს მიეძღვნა, აღნიშნული იყო, რომ სტუმრებს თბილისელთა გუნდის ხელმძღვანელობამ სათანადო მასპინძლობა ვერ გაუწია.

„ლოკომოტივის“ ამიერკავკასიის რკინიგზის საგზაო საბჭოს თავმჯდომარე თ. კაჭახიძე გვატყობინებს, რომ წერილში მოყვანილი ფაქტები ზუსტია. ავტობუსი, რომელიც თბილისის „ლოკომოტივის“ სტუმრებს აეროპორტში უნდა დახვედროდა, დანიშნულ ადგილზე არ გამოცხადდა, რის გამოც მოსკოვის „ლოკომოტივის“ გუნდს ვერც საგზაო საბჭოს წარმომადგენელი შეხვდა.

ავტობუსის შოფრის დაუდევრობის შესახებ ეცნობა მის ხელმძღვანელობას, რომელმაც შოფერი სამსახურიდან დაითხოვა.

„ლოკომოტივის“ საგზაო საბჭომ მოსკოვის „ლოკომოტივის“ რეგბისტებს ცუდი მასპინძლობისთვის ბოდიში მოუხადა.

10 ნოემბერი საბჭოთა მილიციის დღეა

## სპორტსმენები — წესრიგის სადარაჯოზე

# მისი მოწოდება

თბილისური მზიანი დღე იდგა. ზოოპარკში უამრავი ხალხი ირეოდა. განსაკუთრებით ბევრი მნახველი მაიმუნებს ჰყავდათ. ხალხი ერთობოდა, იცინოდა. არ იცინოდა მხოლოდ ერთი ახალგაზრდა, რომელიც მოუსვენრად იცქირებოდა აქეთ-იქით. დაკვირვებული თვალი შეამჩნევდა, რომ იგი ზოოპარკში აქაურობის დასათვალიერებლად და გასართობად არ იყო მოსული.

დამთვალიერებელთა ჯგუფს შეემატა ქალი ორი ბავშვით, რომელსაც მკლავზე ხელჩანთა ეკიდა და ბავშვებისთვის ნაყინი ეჭირა. ის ახალგაზრდა მყისვე მის გვერდით გაჩნდა. კიდევ ერთხელ მიიხედმოიხედა, ქალს სწრაფად გაუხსნა ხელჩანთა, ფული ამოიღო და ის იყო, უნდა მიმალულიყო, რომ წინ ხაშუალო ტანის, ჩასკვნილი ჭაბუკი გადაუდგა. ქურდმა მას მუქარით დაუბრიალა თვალები, მაგრამ „დაუპატიჟებელი სტუმარი“ სწორედ იმ ხელში სწვდა, რომელშიც ჯერ კიდევ ეჭირა მოპარული ფული. მაშინ ქურდმა ხელის განთავისუფლება სცადა, მაგრამ ტკივილისგან შეჰყვირა და ჩაიკეცა.

... დაზარალებულმა მოქალაქემ მხოლოდ ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილებაში გაიგო, რომ ის ჩასკვნილი ახალგაზრდა მილიციის უფროსი ლეიტენანტი ელგუჯა გოგაძე იყო, ხოლო ქურდი — რვაჯერ ნასამართლევი ვინმე ასოევი.

ელგუჯა გოგაძე მილიციის რიგებში სავალდებულო სამხედრო სამსახურის მოხდის შემდეგ, 1966 წელს მოვიდა.

— გულახდილად რომ გითხრათ, მილიციაში მუშაობას არ ვფიქრობდი, მაგრამ ერთმა შემთხვევამ მიბიძგა, კანონიერების დარაჯი რომ გავმხდარიყავი, — თქვა ელგუჯამ.

ელგუჯა სამხედრო სამსახურის შემდეგ შინ ხუთიოდე დღის ჩამოსული იყო. ხილიანის ქუჩას მიჰყვებოდა. მაშინ ეს ქუჩა არც ახე მჭიდროდ დასახლებული იყო, არც კარგად განათებული... ელგუჯას წინ უცნობი ქალიშვილი მიიჩქაროდა. მოულოდნელად მოსახვევიდან სამი ვაჟი გამოვიდა და მარტო მიმავალ გოგონას გამოუდგა. გოგაძე მიხვდა, რომ ისინი ქალიშვილს საკეთილოდ არ გაჰყვნენ. მათგან ყველაზე მაღალი ქალიშვილს წინ გადაუდგა და მბრძანებლურად უთხრა: ტყუილად მიიჩქარი, ჯერ ჩვენთან უნდა წამოხვიდე, აქვე ახლოსო.

ქალიშვილმა გზის გაგრძელება სცადა, მაგრამ მეორე მკლავში სწვდა, მას მესამე მიეშველა და შიშისგან ენაჩავარდნილი მახვეგზე მოსახვევისკენ გაათრიეს.

— ახლავე ხელი გაუშვით! — მკაცრად შესძახა ელგუჯამ და მოძალადეებთან მიიჭრა. ის, რომელიც ყველაზე მეტად აქტიურობდა, უმალ ძირს დასცა, მერე მეორე მიუწვდა გვერდში, მაღალმა კი გაქცევით უშველა თავს. ამასობაში მილიციის მანქანაც გამოჩნდა და მოძალადეებმა მიმალვა ვერ მოასწრეს.

მაშინ არც მილიციის მუშაკებმა და არც ქალიშვილმა არ იცოდნენ, რომ ეს გაბედული ჭაბუკი სამბოში ბელორუსიის ჩემპიონი, სპორტის ოსტატი ელგუჯა გოგაძე იყო.

სწორედ იმ ღამეს შესთავაზეს ელგუჯას მილიციაში სამსახური. მანაც უფროსების რჩევა ყურად იღო და კანონიერების გუშაგი გახდა. უშიშარი ახალგაზრდა მალე მილიციის სკოლაში გაგზავნეს.

... ელგუჯა გოგაძე თავის კოლეგა გ. მოწერელიასთან ერთად გორში საგანგებო დავალებით მიავლინეს — ცნობილი ბინის ქურდი უნდა მოეძებნათ და დაეკავებინათ. ძებნა თითქოს უშედეგოდ მთავრდებოდა. ჩეკისტები თბილისში დაბრუნებას აპირებდნენ, რომ სადგურის წინ ახალგაზრდების ჯგუფში თვალი მოჰკრეს იმას, ვისაც ეძებდნენ. [illegible] ძებნილი გორის მკვიდრი ფალვენიშვილი აღმოჩნდა. დამნაშავე გამოტყდა და ექვსი თანამოსაქმეც დაასახელა.

მამაც ჩეკისტს თავი სხვაგანაც ბევრჯერ გამოუჩენია, ბევრი ბოროტმოქმედი, ქურდი და ხულიგანი ჩამოუშორებია საზოგადოებისთვის, რისთვისაც ზემდგომი ორგანოების არაერთი მადლობა დაიმსახურა.

... ამჟამად ე. გოგაძე ორჯონიკიძის რაიონის შინაგან საქმეთა განყოფილების უბნის ინსპექტორად მუშაობს. მილიციის უფროს ლეიტენანტს საზრუნავი მართლაც ბევრი აქვს. მრავალათასიან მიკრორაიონში, რომლის ზედამხედველობაც მას ევალება, ცხადია, თითო-ოროლა ცუდიც გამოერევა. აი, სწორედ ასეთებთან მართებს ელგუჯას ყველაზე მეტი მუშაობა. მისი უპირველესი ვალი მათი აღზრდაა. თანატოლებს გოგაძე ხშირად მეგობრულად ესაუბრება თავის საინტერესო საქმიანობაზე, შრომაზე, სპორტზე, უნივერსიტეტზე, სადაც იგი იურიდიული ფაკულტეტის IV კურსზე სწავლობს, ყველაფერზე, რაც ადამიანს ალამაზებს და ამშვენებს.

წლეულს ე. გოგაძემ საზოგადოებრივ შრომაში ჩააბა 52 ახალგაზრდა. არც თავისი საყვარელი სპორტი ავიწყდება: საქართველოს პირველობის მრავალგზის პრიზიორს სამბოსა და თავისუფალ ჭიდაობაში თვითონაც ჰყავს მოწაფეები — სამბოს ასწავლის ახალგაზრდა კოლეგებს.



კანონიერების ფხიზელ გუშაგს თავის უპირველეს მოვალეობად მიაჩნია უბანში სანიმუშო წესრიგის დამყარება მიაჩნია. ამით იგი პრაქტიკულად ახორციელებს ყველა ჭეშმარიტი თბილისელის მიზანს: გახდეს თბილისი სანიმუშო კულტურისა და კომუნისტური ყოფა-ცხოვრების ქალაქი.

რ. ფერაძე,

თბილისის საბჭოს აღმასკომის შინაგან საქმეთა სამმართველოს პოლიტაღმზრდელობითი მუშაობის ინსტრუქტორი.




სსრ კავშირის პირველობა

[illegible]

8 ნოემბერს შედგა 27-ე ტურიდან გადმოტანილი სამი მატჩი.

„ტორპედო“ — „ფახთაქორი“ 0:1. ტორპედოელებმა ვერაფერი გააწყვეს ტაშკენტელ ფეხბურთელთა წინააღმდეგ გ რომლებიც დიდი მონდომებით თამაშობდნენ. „ფახთაქორს“ გამარჯვება მოუტანა ისაკოვის გოლმა.

ცსკა — „ქაირათი“ 0:0. სახიფათო ზონაში მყოფი ამ ორი გუნდის შეხვედრა ძალიან დაძაბულ ბრძოლაში მიმდინარეობდა. ცსკა-ს ორჯერ მიეცა გოლის გატანის რეალური შესაძლებლობა, როცა ალმაათელთა კარში პენალტები დაინიშნა. მაგრამ ჯერ კოპეიკინმა ააცდინა ბურთი მიზანს, ხოლო შემდეგ „ქაირათის“ მეკარე ორდაბაევმა შეძლო ფედოტოვის ძლიერი დარტყმის მოგერიება.

„ნისტრუ“ — „დნეპრი“ 1:2.

[illegible]

## გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 8 ნოემბრისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „დინ.“ (კ.) | 27 | 14 | 11 | 2 | 45—17 | 39 |
| „სპარტაკი“ | 27 | 12 | 9 | 6 | 32—22 | 33 |
| „ჩერნ.“ | 27 | 11 | 10 | 6 | 33—28 | 32 |
| „ტორპედო“ | 28 | 12 | 7 | 9 | 33—25 | 31 |
| „დინ.“ (მ.) | 27 | 10 | 10 | 7 | 40—26 | 30 |
| „ფახთაქორი“ | 28 | 10 | 9 | 9 | 42—38 | 29 |
| „არარატი“ | 27 | 9 | 10 | 8 | 32—25 | 28 |
| „ზენიტი“ | 27 | 7 | 14 | 6 | 31—37 | 28 |
| „შახტიორი“ | 27 | 8 | 11 | 8 | 31—31 | 27 |
| „დნეპრი“ | 28 | 8 | 10 | 10 | 27—37 | 26 |
| „კარპატი“ | 27 | 6 | 12 | 9 | 25—28 | 24 |
| ცსკა | 28 | 7 | 10 | 11 | 28—33 | 24 |
| „ქაირათი“ | 28 | 7 | 10 | 11 | 35—42 | 24 |
| „დინ.“ (თბ.) | 27 | 5 | 14 | 8 | 21—31 | 24 |
| „ზარია“ | 27 | 7 | 9 | 11 | 27—38 | 23 |
| „ნისტრუ“ | 28 | 4 | 8 | 16 | 30—54 | 16 |

## 1975 წელს

საკონტინენტთაშორისო თასის მორიგი გათამაშება მხოლოდ 1975 წლის იანვარში დამთავრდება. ეს ცნობა ჟურნალისტებს მიაწოდეს ორი კლუბის — მიუნჰენის „ბაიერნისა“ (გფრ) და ბუენოს-აირესის „ინდეპენდიენტეს“ (არგენტინა) წარმომადგენლებმა.

ევროპის ქვეყნების ჩემპიონთა თასის ამჟამინდელმა მფლობელმა „ბაიერნმა“ შესთავაზა პირველი მატჩის გამართვა წლევანდელი დეკემბრის დამლევს შესთავაზა ევროპაში, ხოლო არგენტინელები მეორე შეხვედრის ჩატარებას 1975 წლის იანვარში აპირებენ.

## 0:0

### მოსკოვის „ლოკომოტივის“ მესამე მატჩი

ალჟირი, 7 ნოემბერი. მოსკოვის „ლოკომოტივმა“ ალჟირის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკაში მესამე მატჩი ჩაატარა. ამჯერად სტუმრები ალჟირის ნაკრებს შეხვდნენ. თამაში ფრედ დამთავრდა — 0:0.

მატჩი კოკისპირულ წვიმაში მიმდინარეობდა.

# ევროპის ტურნირების დღე

5 და 6 ნოემბერს გაიმართა ევროპის საკლუბო გუნდების სამივე ტურნირის მატჩები.

## ჩემპიონთა თასი

ერევანი. „რაზდანის“ სტადიონი. 6 ნოემბერი.

„არარატი“ (ერევანი, სსრ კავშირი) — „სელტიკი“ (ცორკი, ირლანდია) 5:0 (1:0).

„არარატი“: აბრამიანი (დემირჩიანი), მარტიროსიანი, სარქისიანი, არუთიმიანი, მესროპიანი, ანდრიასიანი, ბონდარენკო (მინასიანი), იშტოიანი, პოღოსიანი, ზანაზანიანი, ლაზარიანი.

„სელტიკი“: ლოძეკი, ტობინი, მაკკარტი, ნოთლი, ბრუქსი, კეროლი, ჟილენი, ჰეილი, მაიგრსი, ალენი (ო'მეჰმი), შორტი (ო'ჰერნი).

მსაჯი გ. ლიმონა (რუმინეთი). გაფრთხილებულია შორტი.

ერევნელებს პირველი „რაუნდის“ შეხვედრა კორკში მოგებული ჰქონდათ ანგარიშით 2:1 და არსებითად ამ გამარჯვების განმტკიცება ესაჭიროებოდათ. ირლანდიელმა ფეხბურთელებმა მხოლოდ შეხვედრამდე გაუწიეს ღირსეული წინააღმდეგობა მასპინძლებს და ისიც უმთავრესად მეკარე ლოძეკის საუცხოო თამაშის წყალობით, რომელმაც მხოლოდ 29-ე წუთზე გაუშვა ბურთი პოღოსიანისგან. 54-ე წუთზე ზანაზანიანმა მეორედ აიღო „სელტიკის“ კარი, შემდეგ კი იშტოიანმა, პოღოსიანმა და ანდრიასიანმა დააგვირგვინეს თავიანთი გუნდის მეოთხედფინალში გასვლის საქმე.

* * *

„ოლიმპიაკოსი“ (პირეოსი, საბერძნეთი) — „ანდერლეხტი“ (ბრიუსელი, ბელგია) 3:0 (1:5).

„ფენერბახჩე“ (სტამბული, თურქეთი) — „რუხი“ (ხორჟუვი, პოლონეთი) 0:2 (1:2)

„მაგდებურგი“ (გდრ) — „ბაიერნი“ (მიუნჰენი, გფრ) 1:2 (2:3)

„ლიდს იუნაიტედი“ (ინგლისი) — „დოჟა უიპეშტი“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0 (2:1)

„ატვიდაბერგი“ (შვედეთი) — ჰიკ-ი (ჰელსინკი, ფინეთი) 1:0 (3:0)

„სენტ-ეტიენი“ (საფრანგეთი) — „ჰაიდუკი“ (სპლიტი, იუგოსლავია) 5:1 (1:4)

„ბარსელონა“ (ესპანეთი) — „ფეიენოორდი“ (როტერდამი, ჰოლანდია) 3:0 (0:0). სამივე ბურთი კრუიფის მიწოდებათა შემდეგ ესპანეთის ნაკრების თავდამსხმელმა რექსაჩმა გაიტანა.

## თასების მფლობელთა თასი

„დინამო“ (კიევი, სსრ კავშირი) — „აინტრახტი“ (მაინის ფრანკფურტი, გფრ) 2:1 (3:2).

„ცრვენა ზვეზდა“ (ბელგრადი, იუგოსლავია) — „ავენირი“ (ლუქსემბურგი) 5:1 (6:1)

„აუსტრია“ (ვენა, ავსტრია) — „რეალი“ (მადრიდი, ესპანეთი) 2:2 (0:3)

„ფერენცვაროში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) — „ლივერპული“ (ინგლისი) 0:0 (1:1)

„ფსვ ეინდჰოვენი“ (ჰოლანდია) — „გვარდია“ (ვარშავა, პოლონეთი) 3:0 (5:1)

„ბენფიკა“ (ლისაბონი, პორტუგალია) — „კარლ ცაისი“ (იენა, გდრ) 0:0 (1:1)

„რეიპასი“ (ლაჰტი, ფინეთი) — „მალმიო“ (შვედეთი), 0:0 (1:3)

„ბურსასპორი“ (თურქეთი) — „დანდი იუნაიტედი“ (შოტლანდია) 1:0 (0:0).

## უეფა-ს თასი

მოსკოვი. „დინამოს“ სტადიონი. 6 ნოემბერი.

„დინამო“ (მოსკოვი, სსრ კავშირი) — „დინამო“ (დრეზდენი, გდრ) 1:0 (1:0). პენალტებით 3:4.

მოსკოვი: პილგუი, ბასალაევი, ნიკულინი, ზიკოვი, დოლბონოსოვი, პეტრუშინი (პუდიშევი), დოლმატოვი, კურნენინი (იაკუბიკი), პავლენკო, მახოვიკოვი, ევრიუჟიხინი.

დრეზდენი: ბოდენი, ჰელმი, დიორნერი, შმუკი, ვეცლიხი, ჰიოფნერი, გაიერი, კრაიშე, კოტე, რიდელი (ზაქსე), რიხტერი (ჰაიდლერი).

მსაჯი ზ. პეტრი (უნგრეთი).

გაფრთხილება მიიღო ვეცლიხმა.

პირველი მატჩი დრეზდენში, როგორც ცნობილია, მასპინძლებმა მოიგეს ანგარიშით 1:0. განმეორებითს შეხვედრაში ეს გოლი 28-ე წუთზე გაქვითა კურნენინმა და დარჩენილ დროში ბრძოლა ფაქტიურად საბოლოო წარმატების მოსაპოვებლად მიმდინარეობდა. ეს ნაწვიმარ, ატალახებულ მინდორზე ვერც ერთმა მხარემ ვერ შეძლო და საჭირო შეიქნა დამატებითი დროის დანიშვნა. როცა განვლო ამ 30 წუთმა, საერთო ანგარიში კვლავ ფრე იყო — 1:1. ამიტომ საჭირო გახდა 11-მეტრიანების დარტყმა. პირველი 3-3 პენალტი ორივე გუნდმა კარგად გამოიყენა (ევრიუჟიხინი, იაკუბიკი, მახოვიკოვი, ვეცლიხი, დიორნერი, კრაიშე), შემდეგ კი ზედიზედ ვერ გაიტანეს ბურთები ბასალაევმა და ზაქსემ. ბოლო დარტყმების წინ მდგომარეობა კვლავ თანაბარი იყო. მეხუთე პენალტი დოლმატოვმა კვლავ ააცდინა მიზანს, ხოლო კოტემ ზუსტად გაგზავნა ბურთი ბადეში და მეოთხედფინალის საგზური დრეზდენის „დინამოს“ ხვდა.

* * *

„ფკ ამსტერდამი“ (ჰოლანდია) — „ინტერნაციონალე“ (მილანი, იტალია) 0:0 (2:1)

„კიოლნი“ (გფრ) — „დინამო“ (ბუქარესტი, რუმინეთი) 3:2 (1:1)

„ბანიკი“ (ოსტრავა, ჩეხოსლოვაკია) — „ნანტი“ (საფრანგეთი) 2:0 (0:1)

„ფორტუნა“ (დიუსელდორფი, გფრ) — „ვაშაში“ (ბუდაპეშტი, უნგრეთი) 3:0 (0:2)

„დუკლა“ (პრაღა, ჩეხოსლოვაკია) — „იურგორდენი“ (შვეცია) 3:1 (2:0)

„პორტდაუნი“ (ჩრდილოეთ ირლანდია) — „პარტიზანი“ (ბელგრადი, იუგოსლავია 1:1 (0:5)

„რასინგ-ვაიტი“ (მოლენბეკი, ბელგია) — „ტვენტე“ (ენსხედე, ჰოლანდია) 0:1 (1:2)

„ველეჟი“ (მოსტარი, იუგოსლავია) — „რაპიდი“ (ვენა, ავსტრია) 1:0 (1:1)

„ატლეტიკო“ (მადრიდი, ესპანეთი) — „დერბი ქაუნტი“ (ინგლისი) 2:2, პენალტებით 6:7 (2:2)

„სტიაგულ როშუ“ (რუმინეთი) — „ჰამბურგერ შპორტფერაინი“ (გფრ) — 1:2 (0:8)

„იუვენტუსი“ (ტურინი, იტალია) — „ჰიბერნიანი“ (ედინბურგი, შოტლანდია) 4:0 (4:2)

„პორტუ“ (პორტუგალია) — „ნაპოლი“ (იტალია) 0:1 (0:1)

„ლიონი“ (საფრანგეთი) — „ბორუსია“ (მიონხენგლადბახი, გფრ) 2:5 (0:1)

„რეალი“ (სარაგოსა, ესპანეთი) — „გრასჰოპერსი“ (ციურიხი, შვეიცარია) 5:0 (1:2)

ბელგიის „ანტვერპენი“ და ამსტერდამის „აიაქსი“ (ჰოლანდია) ითამაშებენ 13 ნოემბერს (პირველი მატჩი მოიგო „აიაქსმა“ — 1:0).

ხაზგასმული გუნდები გავიდნენ გათამაშებათა შემდგომ ეტაპზე.

მეოთხედფინალური მატჩების გამართვა გაისად, მარტშია ნავარაუდევი. მანამდე კი უეფა-ს თასის გათამაშების მერვედფინალური თამაშები ჩატარდება. მეტოქეებს წილისყრა დააწყვილებს.

ევროპის ფეხბურთის ამბები

## კანადელთა ტურნე

კანადის ნაკრები ტურნეს ატარებს ევროპაში. ეს მოგზაურობა მისთვის ჯერჯერობით წარუმატებელია: კანადელებმა ჯერ გდრ-ის ნაკრებთან წააგეს (0:1), მერე კი პოლონელებთან დამარცხდნენ — 0:2.

## თასები, თასები...

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის თასის წლევანდელ გათამაშებაში სახელგანთქმული კლუბის „ჰამბურგერ შპორტფერაინის“ პირველი გამოსვლა უკანასკნელი გამოდგა: ამ პროფესიულმა გუნდმა მოულოდნელად წააგო მატჩი მოყვარულ ფეხბურთელთა კლუბ „ეპინგემთან“ — 1:2.

„ჰამბურგერ შპორტფერაინის“ კლუბის პრეზიდენტმა პ. კრონმა განაცხადა, რომ ამ წარუმატებლობამ გუნდს რამდენიმე ათასი მარკის ზარალი მიაყენა და ამიტომ იგი მოკლე ხანში ვერც ერთი მოთამაშის ყიდვას ვერ შეძლებს.

# ოთხი სახეობის შედეგი




აჭარის VI სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილი თოთხმეტი სახეობიდან ოთხში უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონები.

ნავთობგადამამუშავებელი ქარხნის სპორტულ დარბაზში გაიმართა ფრენბურთელთა ასპარეზობა. ვაჟთა გუნდების ფინალურ შეჯიბრებაში ბათუმის ნაკრებმა დაამარცხა ხელვაჩაურის რაიონის გუნდი (2:0) და ჩემპიონობა მოიპოვა. წარმატება ხვდათ მაღალმთიანი შუახევის რაიონის სპორტსმენებს, რომლებმაც III საპრიზო ადგილისთვის ბრძოლაში ქობულეთის რაიონის გუნდს სძლიეს — 2:1. ეს შუახეველ ფრენბურთელთა დიდი წარმატებაა.

საინტერესო გამოდგა ქალთა გუნდების შეჯიბრება, ბათუმელმა სპორტსმენებმა ყველა მეტოქე ერთნაირი ანგარიშით (2:0) დაამარცხეს და უძლიერესის სახელი მოიპოვეს. II ადგილისთვის ბრძოლაში ქობულეთელებმა ხელვაჩაურელ სპორტსმენებს აჯობეს.

ზღვისპირა პარკის ჩოგბურთის კორტებზე ჩატარდა ხელბურთელთა და კალათბურთელთა ტურნირები.

ბათუმელმა ხელბურთელმა ვაჟებმა პირველ წრეში ფრედ (25:25) ითამაშეს ხელვაჩაურის გუნდთან, შემდეგ ყველა მეტოქე დაამარცხეს და I ადგილი დაიკავეს. ხელვაჩაურისა და ქობულეთის გუნდების მატჩი დამთავრდა ქობულეთელთა გამარჯვებით (29:28), მაგრამ გამარჯვებულ გუნდში აღმოჩნდა მოთამაშე, რომლის გვარიც საერთოდ არ იყო განაცხადში შეტანილი. მსაჯთა კოლეგიამ სამართლიანად გააუქმა მატჩის შედეგი და მოგება ხელვაჩაურის რაიონის კოლექტივს მიაკუთვნა. გუნდი II ადგილზე გავიდა.

ქალთა ტურნირიც ბათუმელებმა მოიგეს. მათ გადამწყვეტ შეხვედრაში დაამარცხეს ქობულეთის რაიონის წარმომადგენლები — 18:8. მომდევნო საპრიზო ადგილებზე არიან ქობულეთისა და ხელვაჩაურის გუნდები.

კალათბურთელ ვაჟთა ასპარეზობაში ბათუმელთა უპირატესობა აშკარა იყო. ფინალში მათ სძლიეს ქობულეთელებს — 128:45. III ადგილზეა ხელვაჩაურის რაიონის კოლექტივი. ქალთა შორისაც, როგორც მოსალოდნელი იყო, ბათუმელებმა გაიმარჯვეს. II ადგილზეა ქობულეთის გუნდი. III საპრიზო ადგილისთვის შეხვედრაში ქედის რაიონის ნაკრებმა სძლია (38:18) ხელვაჩაურელთა კოლექტივს.

დიდ ინტერესს იწვევდა თავისუფალი სტილის მოჭიდავეთა შეჯიბრება. ბათუმის საჭიდაო დარბაზში მონაწილეებს ძლივს იტევდა. ნუთუ დრო არ არის, რომ ბათუმში ერთი ნორმალური დარბაზი მაინც აიგოს? ეს ზღვისპირა ქალაქი ხომ მოჭიდავეთა სამჭედლო იყო — აქ მიიღეს ნათლობა სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა, მსოფლიოს თასის ჩემპიონმა რ. აბაშიძემ, დ. გვანცელაძემ, გ. გოგიჩაიშვილმა და ბევრმა სხვამ.

გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ჩემპიონობა (62 ქულით) მოიპოვეს ბათუმელმა ფალავნებმა. წარმატებით გამოვიდა ქობულეთის რაიონის ნაკრებიც — 48 ქულა. III ადგილზეა ხელვაჩაურის რაიონის ნაკრები — 39.

წონითი კატეგორიების მიხედვით ჩემპიონები გახდნენ: გ. ფერნანდესი, თ. მესხიძე (ორივე — ბათუმი), ბ. შეავანაძე, მ. მონესი (ორივე — ქობულეთი), ო. ცანავა, ფ. გაგუა, ე. ნიზაძე, ა. შეავანაძე, ბ. ძინძიბაძე (ყველა — ბათუმი), ა. გოგიტიძე (ქობულეთი).

ოთხი სახეობის შემდეგ საერთო გუნდურ ჩათვლაში სპარტაკიადის ლიდერობს ქალაქ ბათუმის დელეგაცია. მომდევნო ადგილებზე არიან ქობულეთის, ხელვაჩაურისა და შუახევის რაიონების გუნდები.

სპარტაკიადა გრძელდება.

თ. მურვანიძე.
(ჩვენი კორ.).

ბათუმი.

# ლენტეხელებმა ისევ იმარჯვეს

დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის სპორტულ დარბაზში ჩატარდა „კოლმეურნის“ ცენტრალური საბჭოს ზონალური პირად-გუნდური პირველობა ქართულ ჭიდაობაში სპორტის ეროვნულ სახეობათა სპარტაკიადის პროგრამით. ასპარეზობაში მონაწილეობა მიიღო 8 გუნდმა. ისინი ერთმანეთს ეცილებოდნენ ფინალური ტურნირის ორ საგზურს. შერკინებები მძაფრი და საინტერესო იყო.

3 წრის შემდეგ გამოვლინდნენ ლიდერები — ლენტეხის, ორჯონიკიძის, სამტრედიისა და წულუკიძის რაიონების გუნდები, აგრეთვე, აფხაზეთის საოლქო საბჭოს ნაკრები. მეოთხე წრის შემდეგ ფინალურ ასპარეზობას ლენტეხისა და სამტრედიის მოჭიდავენი შემორჩნენ. პრიზებიც სწორედ მათ გაინაწილეს.

წონითი კატეგორიების მიხედვით ზონალური სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: რ. ლიპარტელიანი (ლენტეხი), ე. ლიპარტელიანი, ზ. მაჭავარიანი (ორივე — სამტრედია), ვ. ქურასბედიანი, მ. ტვილდიანი, ბ. გასვიანი (ყველა — ლენტეხი), ჯ. გაბიანი (სამტრედია), ც. დევდარიანი (ლენტეხი).

როცა გუნდური შედეგები შეჯამდა, აღმოჩნდა, რომ ლენტეხისა და სამტრედიის წარმომადგენლებს ქულათა თანაბარი რაოდენობა (19-19) ჰქონდათ, მაგრამ ლენტეხის რაიონის ნაკრებს მეტი ჩემპიონი ჰყავდა და გუნდური გამარჯვებაც მას მიეკუთვნა. სამტრედიელები II ადგილზე დარჩნენ. III საპრიზო ადგილი ორჯონიკიძის რაიონის გუნდს ხვდა.

ჯ. ვაშაკიძე.
(ჩვენი კორ.).

სამტრედია.

ქართული ჭიდაობა

# დიდ სამამულო ომში გამარჯვების 30 წლისთავს ეძღვნება

დასასრული

კონკურსში მონაწილეობის უფლება აქვთ საინფორმაციო სააგენტოებს, პარტიული, ახალგაზრდული და საუწყებო ცენტრალური, რესპუბლიკური და საოლქო გაზეთების რედაქციებს, სპორტულ გამოცემათა რედაქციებს, ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის რესპუბლიკურ, სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, აგრეთვე, ცალკეულ ჟურნალისტებს.

კონკურსის მონაწილეთათვის რეკომენდებულია შემდეგი თემები:

— სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა — ძალის, სილამაზისა და ახალგაზრდობის სახალხო დღესასწაული;

— სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა — საბჭოთა ხალხის ურღვევი მეგობრობის სიმბოლო;

— სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადა — უმაღლესი სპორტული ოსტატობის მიღწევის უმნიშვნელოვანესი ეტაპი;

— სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის დევიზი — „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის";

— სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის მონაწილენი — მაღალი სულიერი და ზნეობრივი თვისებების მატარებელნი.

— საბჭოთა ხალხის სამხედრო-პატრიოტული აღზრდა, ახალგაზრდობის მომზადება სამშობლოს დასაცავად, საბჭოთა სპორტსმენების დაუვიწყარი გმირობა სამამულო ომის დღეებში;

— მასობრივი ფიზიკური კულტურისა და სპორტის როლი შრომითი აქტივობის ამაღლებაში.

კონკურსი ჩატარდება ორ ტურად. პირველი ტური (1975 წლის ივნისამდე) მოიცავს რაიონულ, საქალაქო, საოლქო, სამხარეო და რესპუბლიკურ სპარტაკიადებს.

მეორე ტური (1975 წლის ივლის-აგვისტო) შეისწავლის მასალებს სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის ფინალური ნაწილის შესახებ.

კონკურსის შედეგები შეჯამდება ორივე ტურის მიხედვით.

შედეგების შეჯამებისას კონკურსის ჟიური ყურადღებას მიაქცევს: გამოქვეყნებული მასალების, ილუსტრაციების, ტელე- და რადიოგადაცემათა ხარისხსა და შინაარსს, ჟანრთა მრავალფეროვნებას, მასალათა ღრმა, შემოქმედებითს ხასიათს და ავტორთა პროფესიულ ოსტატობას.

განსაკუთრებით გამოიყოფა რედაქციების საორგანიზაციო-მასობრივი ღონისძიებანი სსრ კავშირის ხალხთა VI სპარტაკიადის პროპაგანდისა და სამხედრო-პატრიოტული თემების გაშუქების მიზნით.

კონკურსის საბოლოო შედეგები შეჯამდება 1975 წლის ოქტომბერ-ნოემბერში.

საკონკურსო მასალები უნდა გაეგზავნოს ჟიურის ასეთი მისამართით: მოსკოვი, 121069. სკატერტნი შესახვევი, 5. კონვერტს უნდა დაერთოს აღნიშვნა: „კონკურსი — სპარტაკიადა". მასალები უნდა გაიგზავნოს არა უგვიანეს 1975 წლის 15 სექტემბრისა.

კონკურსში გამარჯვებულთათვის პრიზები დააწესეს პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ, საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა, სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა, საკავშირო სპორტკომიტეტმა, თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტმა, სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა და სხვ.

სამი პრიზი დააწესა საკავშირო სპორტკომიტეტმა ცენტრალური ჟურნალ-გაზეთების რედაქციებისთვის და საინფორმაციო სააგენტოებისთვის. ორი პრიზი იმავე კომიტეტმა — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო პარტიული გაზეთების რედაქციებისთვის;

სამი პრიზი საკავშირო ალკკ ცენტრალურმა კომიტეტმა — რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ახალგაზრდული გაზეთების რედაქციებისთვის;

ორი პრიზი სსრ კავშირის ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის სახელმწიფო კომიტეტმა— რესპუბლიკური, სამხარეო და საოლქო ტელევიზიისა და რადიომაუწყებლობის კომიტეტებისთვის;

პრიზი სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს სპორტკომიტეტმა — საოლქო და ფლოტის გაზეთებისთვის;

ორი პრიზი საკავშირო სპორტკომიტეტმა და გაზეთ „სოვეტსკი სპორტის" რედაქციამ — სპორტული გაზეთებისა და ჟურნალების რედაქციებისთვის;

სამი პრიზი სსრ კავშირის დოსააფის ცენტრალურმა კომიტეტმა, გაზეთ „კრასნაია ზვეზდამ" და ჟურნალმა „სოვეტსკი ვოინმა" — სამხედრო პატრიოტული თემის უკეთ გაშუქებისთვის.

ორი პრიზი სსრ კავშირის პროფკავშირების ცენტრალურმა საბჭომ — თემებისთვის, რომლებიც ფიზიკურ კულტურასა და სპორტს წარმოგვიდგენენ, როგორც შრომისნაყოფიერების ზრდის, მშრომელთა აქტიური დასვენების საშუალებას.

სსრ კავშირის ჟურნალისტთა კავშირმა დააწესა პრიზები ცალკეული ჟურნალისტებისთვის:

ორი პრიზი საუკეთესო პუბლიცისტური ნამუშევრისთვის;
ორი პრიზი საუკეთესო ნარკვევისთვის;
პრიზი საუკეთესო ფოტონარკვევისთვის;
პრიზი საუკეთესო ფოტოსურათებისთვის;
ორი პრიზი საუკეთესო რეპორტაჟებისთვის.

სურათზე: ლუჟნიკის მთავარი სტადიონი.



# მოსკოვის ოლიმპიური ბაზები

იმის გასაცნობად, თუ რა შესაძლებლობები აქვს სსრ კავშირის დედაქალაქს 1980 წლის ოლიმპიადის მასპინძლობისთვის, წლეულს მოსკოვს მსოფლიოს ბევრი სპორტული ჟურნალისტი ეწვია. ყველას ძალიან მოეწონა ამ ქალაქში უკვე დღეს არსებული სპორტული ნაგებობები, აგრეთვე, იმ ბაზების პროექტები თუ დაწყებული მშენებლობები, რომლებიც 1979 წლამდე, წინაოლიმპიურ წლამდე უნდა აშენდეს.

აი, რას წერდა, მაგალითად, „მონრეალ სტარის" (კანადა) სპორტული რედაქტორი ჯ. ჰანსენი: „საბჭოთა კავშირში სტუმრობის პირველივე დღიდანვე დავრწმუნდი, რომ მოსკოვს ახლავე შეუძლია ოლიმპიური თამაშების მასპინძლობა, თუ 1976 წლის ოლიმპიადის ჩატარებაზე მონრეალი უარს იტყვის".

რამ მისცა ჯ. ჰანსენს ასეთი განცხადების საფუძველი? მან საბჭოთა კავშირში შეიტყო, რომ მოსკოვში არის ლენინის სახელობის ცენტრალური სტადიონი, რომელიც 103 ათას კაცს იტევს. სწორედ ამ სტადიონზე მოეწყობა ოლიმპიადის საზეიმო გახსნისა და დახურვის ცერემონიალები, მძლეოსნური შეჯიბრებები, ფეხბურთელთა ასპარეზობის ფინალი, ბალახის ჰოკეისტთა ტურნირი...

ოლიმპიური ფეხბურთის განკარგულებაში იქნება, აგრეთვე, „დინამოს" ორი სტადიონი (56 და 30 ათასი ადგილით), „იზმაილოვის" სტადიონი (34 ათასი ადგილით).

მოცურავეთა შეჯიბრებებს უმასპინძლებს ლუჟნიკის კომპლექსი, რომლის ტრიბუნებზეც 13200 ადგილია.

ტანვარჯიშსა და ძიუდოში შეჯიბრებები ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გაიმართება (დარბაზი 13000 კაცს იტევს).

აკადემიურ, აგრეთვე, კანოეებითა და ბაიდარებით ნიჩბოსნობაში ასპარეზობა კრილატსკოეს არხზე ჩატარდება. აქ მაყურებლებისთვის 5000-ადგილიანი ტრიბუნებია მოწყობილი.

მესტენდურეები „ლოკომოტივის" 3000-ადგილიან სასროლეთზე იასპარეზებენ, ძალოსნები — ცსკა-ს სპორტის სასახლეში (4000 ადგილი).

ხელბურთელებს სოკოლნიკის დახურული სარბიელი (11000 ადგილით) დაეთმობათ, ცხენოსნებს — პლანიორნაიას საცხენოსნო-სპორტული ბაზა.

რა თქმა უნდა, ოლიმპიადისთვის სხვა ბაზების გამოყენებაც შეიძლება. დაგეგმილია კურკინოს და მინსკის გზატკეცილებზე ველორბოლის ტრასის, აგრეთვე, მიტიშჩის სასროლეთის რეკონსტრუქცია და სხვ.

მაგრამ 1980 წლისთვის საბჭოთა კავშირის დედაქალაქი განსაკუთრებით მოემზადება. ზემოაღნიშნულ ბაზებს შეემატება:

25000-ადგილიანი უნივერსალური დარბაზი მშვიდობის პროსპექტზე (კრივისა და კალათბურთისთვის), 12000-ადგილიანი ველოტრეკი და 10000-ადგილიანი დარბაზი თავისუფალი და კლასიკური ჭიდაობისთვის ნაგატინოში, 10000-ადგილიანი დახურული აუზი წყალბურთსა და წყალში ხტომაში ასპარეზობისთვის, 5000-ადგილიანი დარბაზი ვორონცოვოში (ფრენბურთელთა მთავარი სარბიელი), მშვილდოსანთა სპეციალური სტადიონი ნაგატინოში 3 ათასი მაყურებლისთვის, ხიმკის „დინამოს" სპორტდარბაზი (5000 ადგილი) მოფარიკავეებისთვის, 10000-ადგილიანი საცხენოსნო სპორტული ბაზა კრილატსკოეში (კონკურისთვის).

აშენდება კიდევ სხვა სპორტული ბაზები.

# დაწინაურდა კუპერმანი

თბილისში, ჭადრაკის სასახლეში, გრძელდება საერთაშორისო შაშში მსოფლიო პირველობის პრეტენდენტთა ტურნირი.

V ტურში დიდი ინტერესი გამოიწვია ი. კუპერმანისა (სსრ კავშირი) და ხ. ვირსმას (ჰოლანდია) შეხვედრამ, რომელიც ყაიმით დამთავრდა.

შეჯიბრებას პირველი ნახევრის შემდეგ ერთპიროვნულად ლიდერობს დიდოსტატი კუპერმანი — 4 ქულა. მას კვალში მიჰყვებიან ვირსმა, ფ. ველდრინგი (სურინამი), ა. ანდრეიკო და ა. განტვარგი (ორივე — სსრ კავშირი) — 3,5-3,5.

ბრძოლა თანდათან მწვავდება. წინ არის ბევრი საინტერესო შეხვედრა.

ც. ფცქიალაძე.

# საწარმოს პირველობაზე

შორაპნის ელექტროელემენტების ქარხნის მოჭადრაკე ქალებმა და ვაჟებმა თავიანთი პირველობები გამართეს.

ვაჟთა ტურნირში 16 კაცი მონაწილეობდა. გაიმარჯვა ტექნიკური განყოფილების უფროსმა ჯ. კახნიაშვილმა — 13,5 ქულა. II ადგილზეა მექანიკური საამქროს ხარატი ც. პარფიონოვი—12, III — ელექტრომონტიორი ს. ჭუმბურიძე — 11,5.

ქალთა ჩემპიონატში უძლიერესის სახელი დაისაკუთრა საგეგმო განყოფილების ეკონომისტმა ი. მშვენიერაძემ, რომელმაც 9 შეხვედრაში 8 ქულა მოაგროვა. მას ქულა-ნახევრით ჩამორჩა ბატარეების ამწყობი საამქროს მუშა თ. მელაკელიძე. III ადგილზეა № 3 საამქროს მუშა ლ. გველაძე — 5,5.

ა. განუგრაშა.
(ჩვენი კორ.).

შორაპანი,
ზესტაფონის რაიონი.

„ლელოს" შემდეგი ნომერი გამოვა სამშაბათს, 12 ნოემბერს.

# ექვსი ჩემპიონი და გუნდური გამარჯვება

ამ ცოტა ხნის წინათ ბუდაპეშტის ეროვნული სტადიონის მძლეოსნურ მანეჟში ჩატარდა ჭაბუკ და იუნიორ ძიუდოისტთა საერთაშორისო ტურნირი. ასპარეზობაში მონაწილეობდა 6 გუნდი — ავსტრიის, ჩეხოსლოვაკიის, გდრ-ის, ბულგარეთის, უნგრეთისა და საქართველოს ნაკრები კოლექტივები. ტურნირი მაღალ ორგანიზაციულ და სპორტულ დონეზე ჩატარდა.

კარგი ტექნიკური, ფიზიკური და ტაქტიკური მომზადება გამოავლინეს ქართველმა სპორტსმენებმა. მათი ყოველი გამოსვლა საერთო ყურადღების ცენტრში იყო. მაყურებლები ტაშით აჯილდოებდნენ ჩვენს ძიუდოისტებს ლამაზი ილეთებისთვის, გაბედული ბრძოლისა და ვაჟკაცური შემართებისთვის.

მართალია, გუნდური შედეგების რეგისტრაცია არაოფიციალურად ხდებოდა, მაგრამ ოთხდღიანმა შერკინებამ გამოავლინა ამ ტურნირის უდავო ფავორიტი — საქართველოს ნაკრები. ჩვენი გუნდის ექვსი წევრი ჩემპიონი გახდა. თამაზ ნამგალაურმა (58 კგ), ელდარ დამადაევმა (85 კგ) და ჰამლეტ ლოლაშვილმა (მძიმე) I ადგილები მოიპოვეს ჭაბუკთა ტურნირში; ხოლო ამირან ობგაიძემ (63 კგ), ჯუმალ კბილაშვილმა (80 კგ) და ოთარ ყურაშვილმა (93 კგ) — იუნიორთა ასპარეზობაში. II ადგილი წილად ხვდა ბერდია გუგავას, ხოლო III — ტარიელ ცინცაძეს. იუნიორთა შეჯიბრებაში საქართველოს მძიმე წონის მოჭიდავე არ გამოუყვანია. ეს იმიტომ მოხდა, რომ ამ პერიოდში ჩვენი მოწინავე სპორტსმენები მოსკოვში სხვა საერთაშორისო ტურნირისთვის ემზადებოდნენ.

სპეციალისტთა საერთო მოწონება დაიმსახურა ობგაიძემ, რომელმაც დაამარცხა პოლონელი ს. ნატანი, გერმანელი ლახრი და უნგრელი ვარგა. ფინალში ობგაიძის მეტოქე ავსტრიელი ვაიზელდორფი იყო. ქართველმა ძიუდოისტმა ამჯერადაც ჩინებულად იჭიდავა და წარმატებას მიაღწია.

მაღალი ოსტატობა გვიჩვენა კბილაშვილმაც. იგი ყველა ფანდს ელვისებურად, მაღალ დონეზე აკეთებდა, იბრძოდა აზრიანად, მიზანდასახულად და ამიტომ მაყურებლების სიმპათიაც დაიმსახურა. იგივე უნდა ითქვას ყურაშვილზეც, რომელსაც ბევრი ღონიერი მეტოქე აღმოაჩნდა, მაგრამ ტოლი არავის დაუდო და ლამაზი გამარჯვებები მოიპოვა.

უდავო ფავორიტი იყო ცინცაძეც. მან ენერგიულად დაიწყო შეხვედრები, მაგრამ, სრულიად მოულოდნელად, გდრ-ის წარმომადგენელ გესლერთან შეხვედრაში წაიბორძიკა. ტარიელი წამოეგო მეტოქის ფანდზე, მერე კი მდგომარეობის გამოსასწორებლად დრო აღარ ეყო.

სპეციალისტებმა და უნგრეთის პრესამ ძალიან მოიწონეს ჩვენი ჭაბუკი ძიუდოისტები, განსაკუთრებით I ადგილებზე გასული ნამგალაური, დამადაევი და ლოლაშვილი.

პირადად ჩემზე კარგი შთაბეჭდილება მოახდინა გუგავამაც. იგი დიდი შემართებით და გაბედულად იბრძოდა, ეფექტურად იყენებდა ქართული ჭიდაობის ილეთებს, რაც მეტოქეებისთვის მოულოდნელი იყო. ასე მოუგო მან რამდენიმე შეხვედრა უნგრელ, პოლონელ და გერმანელ მოჭიდავეებს. ფინალში გუგავას ბრძოლა მოუხდა კ. ლემანთან (გდრ). ამ უკანასკნელმა გაითვალისწინა მეტოქის სიძლიერე და შერკინება დაიწყო აუჩქარებლად, დაბალ დგომში. ქართველმა ჭაბუკმა ვერაფრით ვერ მოიგდო ხელში აშკარად დაცვაზე გადასული მეტოქე. პატარა უპირატესობით გამარჯვება ლემანს მიეკუთვნა.

ბუდაპეშტის ტურნირმა ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ძიუდო სოციალისტური ქვეყნების ახალგაზრდებში დიდი პოპულარობით სარგებლობს. ანალოგიურ ტურნირში საქართველოს წარგზავნილებმა შარშანაც გუნდური გამარჯვება მოიპოვეს, მაგრამ მაშინ ჩვენ ხუთი ჩემპიონი გვყავდა, წლეულს კი ექვსი გვყავს.

ვ. კუხიანიძე,
სსრ კავშირის დამსახურებული მწვრთნელი.

რედაქტორი მ. კაკაბაძე.



გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და პარასკევისა.

რედაქციის მისამართი: 380096. თბილისი, ლენინის ქ. № 14. დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".

ტელეფონები: რედაქტორი — 99-56-14, 93-97-50, რედაქტორის მოადგილე — 93-97-57, პასუხისმგებელი მდივანი — 93-97-52, მასობრივ-ფიზკულტურული განყოფილება — 93-97-55, სპორტული განყოფილება — 99-56-47, 93-97-53, ფეხბურთის განყოფილება — 99-81-71, 93-97-56, მოსწავლე და სოფლის ახალგაზრდობისა და ჭადრაკის განყოფილებები — 93-97-51, წერილების განყოფილება — 93-97-54, მემანქანეთა ბიურო — 93-97-59, ფოტოლაბორატორია — 93-97-58, გამომშვები — 93-93-81, კორექტორები — 93-97-49.

ИНДЕКС 66448 საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის ქ. № 14. უე 14213